

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და სასამართლოსთან პრაქტიკა

ნინო ფიფია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელიც დაფუძნდა 1959 წლის ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა ქ. რომში 1950 წელს და ძალაში შევიდა 1953 წელს. კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც წევრი-სახელმწიფოები ევროპის საბჭოს პირდება თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს არა მარტო საკუთარი მოქალაქეების, არამედ ყველას ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა.

თუ გადაწყვეტთ რომ მიმართოთ სასამართლოს, გაითვალისწინეთ რომ განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს 47-ე მუხლის პირველი და 2-ე პარაგრაფების მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოწვეულ პრეტენზიებს არ განიხილავს.

კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს კონვენციის წევრ-სახელმწიფოს, კონვენციის წევრ-სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიმართ (მუხლი 33).

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებები, სარჩელი, ევროსაბჭო, კონვენცია.

Summary European Court of Human Rights and Court procedure

The European Court of Human Rights is an international court set up in 1959 in the frame of European Convention. The European Convention on Human Rights is an international treaty under which the member States of the Council of Europe promise to secure fundamental civil and political rights, not only to their own citizens but also to everyone within their jurisdiction. The Convention, which was signed on 4 November 1950 in Rome, entered into force in 1953.

If you decide to apply to the Court, please ensure that your application complies with Rule 47 of the Rules of Court, which sets out the information and documents that

must be provided.

Failure to provide any of the information or documents required by Rule 47 §§ 1 and 2 may result in the complaints not being examined by the Court. It is imperative that all fields in the application form are filled in.

Convention members states have the right for applying the court any citizen of member states, non-governmental organizations or group of legal entity which are the participants of other states.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში სასამართლო) არის საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელიც დაფუძნდა 1959 წლის ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (შემდგომში კონვენცია). კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა ქ. რომში 1950 წელს და ძალაში შევიდა 1953 წელს. კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც წევრი სახელმწიფოები ევროპის საბჭოს პირდება თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს არა მარტო საკუთარი მოქალაქეების, არამედ ყველას ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა მიუხედავად სქესის, რასის, ეროვნების ან ეთნიკური წარმომავლობის. კონვენციის მნიშვნელობა მდგომარეობს არა მხოლოდ მასში განსაზღვრული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვაში და დაცვის მასშტაბებში, არამედ ზოგადად ამ უფლებათა დაცვის სისტემაში, რომელიც გულისხმობს შეისწავლოს სავარაუდო დარღვევები და უზრუნველყოს, რომ წევრ-სახელმწიფოებმა შეასრულონ კონვენციით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებები.

სასამართლოს ბინა უდევს ადამიანის უფლებათა, მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ სასახლეში, სტრასბურგში. ამ შენობაში სასამართლო მეთვალყურეობს 800 მილიონი ევროპელი ადამიანის უფლებათა დაცვას, მცხოვრების 47 სახელმწიფოში, რომელთა მიერაც რატიფიცირებულია კონვენცია. 1960 წლის 14 ნოემბერს სასამართლომ გამოიტანა პირველი განჩინება. გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე სასამართლომ გამოიტანა 10 000-ზე მეტი განჩინება. მათი აღსრულება სავალდებულოა მოპასუხე სახელმწიფოებისათვის და შესაბამისად აიძულებს მთავრობებს, შეიტანონ შესწორებები ეროვნულ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციული პრაქტიკის მრავალ სფეროში. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მეშვეობით, კონვენცია იქცა

დინამიურ და მძლავრ ინსტრუმენტად ევროპის ახალი გამოწვევებისა თუ კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის განმტკიცების მიმდინარე პროცესში.

უკანასკნელი წლებში, სასამართლომ აქცენტი მიმართა კომპლექსური საჩივრების განხილვაზე და გადაწყვიტა განახორციელოს ზოგიერთი იმგვარი განაცხადის გაერთიანება, რომლებიც წამოჭრის მსგავს სამართლობრივ საკითხებს, რათა შეძლოს მათი ერთობლიობაში განხილვა. ამდენად, თუმცა სასამართლოს მიერ ყოველწლიურად გამოტანილ განჩინებათა რიცხვი წარსულის მსგავსად სწრაფად აღარ მატულობს მაგრამ სასამართლო განიხილავს უფრო მეტ განაცხადს.

კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს კონვენციის ნევრ-სახელმწიფოს, კონვენციის ნევრ-სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიმართ (მუხლი 33).

კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით დადგენილია სასამართლოს მიერ საქმეთა მიღების კრიტერიუმები. სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმე განსახილველად თუ:

1. განმცხადებელი და მოპასუხე არის კონვენციის მონაწილე ნევრ სახელმწიფო;

2. ამონურულია ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება;

3. ეროვნულ დონეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებიდან არ არის გასული ექვსი თვე.

სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ გაანცხადს თუ:

1. განაცხადი ანონიმურია;

2. თუ განაცხადი არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც განხილული იქნა სასამართლოს მიერ ან გადაეცა განსახილველად სხვა საერთაშორისო პროცედურას;

3. მიიჩნევა რომ განაცხადი არ არის შესაბამისობაში კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებებთან, ან ბოროტად არის გამოყენებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

განაცხადის დასაშვებობისათვის შედასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. სასამართლო არ არის ზემდგომი ინსტანცია, რომელიც გადასინჯავს ეროვნულ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. სასამართლო მხოლოდ მას შემდეგ განიხილავს ამა თუ იმ უფლების დარღვევის საკითხს, რაც ეროვნულ დონეზე გამოყენებული იქნება დარღვეული უფლებების აღდგენის ყველა ეფექტური საშუალება. შიდა საშუალებების ამონურვის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სახელმწიფოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოასწოროს დარღვევის ფაქტები, ვიდრე ისინი სასამართლოს განსახილველი გახდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განმცხადებელს ეკისრება მხოლოდ ეფექტური საშუალებების

ამონურვის ვალდებულება, ანუ ისეთი საშუალებების, რომელთა გამოყენება შეცვლის მდგომარეობას, ან აღუდგენს დარღვეულ უფლებას. თუ განმცხადებელი არ გამოიყენებს ქვეყანაში არსებულ ამა თუ იმ საშუალებას, რადგან მას არაეფექტურად მიიჩნევს, მაშინ მას ამ მოსაზრების მტკიცების ვალდებულება ეკისრება.

განაცხადის დასაშვებად ცნობისათვის მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ექვსთვიანი ვადის დაცვა. განაცხადი სასამართლოში გაგზავნილი უნდა იყოს შიდა დონეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების ან განმცხადებლისათვის ჩაბარების დღიდან ექვსი თვის ვადაში. სასამართლო განაცხადის შეტანის თარიღად მიიჩნევა გაგზავნის თარიღს. უფლების განგრძობადი დარღვევის შემთხვევაში ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება ქმედების დასრულების მომენტიდან. თუ დარღვევა გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაშინ პირს უფლება აქვს, არ დაელოდოს მის დასრულებას და მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში შესაძლოა წამოიჭრას შიდა საშუალებების ამონურვის საკითხი, თუმცა ასეთ შემთხვევაში სასამართლო არის საკმაოდ მოქნილი და თუ შიდა დონეზე არ არის დარღვეული ამა თუ იმ საშუალების გამოყენების ვადები, არ ცნობს განაცხადს დაუშვებლად და აძლევს განმცხადებელს მისი ამონურვის შესაძლებლობას. არ არის სავალდებულო აღნიშნულ ვადაში გაიგზავნოს დასაბუთებული, ამონურავი განაცხადი. ჰპირველადი სახით საკმარისია მხოლოდ ამა თუ იმ უფლების დარღვევის ფაქტების მოკლე აღწერა და მითითება, რომ დაირღვა განმცხადებლის უფლება. ამ სახის განაცხადი საკმარისია ექვსთვიანი ვადის დენის შეწყვეტისათვის, განსაკუთრებით თუ განმცხადებელი ადვოკატის დახმარების გარეშე მიმართავს სასამართლოს. ფაქტით გაგზავნისას განსახილველად მიღების ვადა შესაძლოა გაიზარდოს დამატებით ექვს თვემდე, ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია გაკეთდეს სატელეფონო შეტყობინება განაცხადის გაგზავნის შესახებ. თუ ექვსთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც განაცხადი უნდა იყოს წარდგენილი უკვე გადის და აღარ რჩება დრო სრული განაცხადის მოსამზადებლად, შეიძლება გაგზავნილი იქნეს ე.წ. “შეაჩერეთ დრო” განაცხადი, რომელიც აღწერს სარჩელის მოკლე შინაარსს. ამგვარი განაცხადის გაგზავნას რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოყვეს სრული განაცხადის წარდგენა.

კონვენციის მე-14 ოქმით, სასამართლო დაუშვებლად ცნობს განაცხადს, თუ განმცხადებელს არ მიდგომია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვა მოითხოვს განაცხადის არსებითად განხილვას და იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ისეთი საქმის უკუგდება, რომელიც სათანადოდ არ განხილულა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ (მე-14 ოქმის მე-12 მუხლი, რომელიც ცვლის კონვენციის 35-ე მუხლს). იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ისეთი საქმეების უკუგდება, რომლებიც

არსებით განხილვას საჭიროებს, ერთ მოსამართლესა და კომიტეტებს არ შეუძლიათ ამ ახალი კრიტერიუმის გამოყენება მე-14 ოქმის ძალაში შესვლიდან პირველი ორი წლის განმავლობაში (ოქმის მე-20 მუხლი).

აუცილებელია, რომ განაცხადის ფორმა შეივსოს კონვენციის 47-ე მუხლის პირველი და 2-ე პარაგრაფების შესაბამისად, განაცხადის ფორმის შევსებისას უნდა მივყვეთ იმ ინსტრუქციებს, რომლებიც მითითებულია ფორმასა და თანდართულ წერილში. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოწვეულ პრეტენზიებს არ განიხილავს.

განაცხადში/სარჩელში მითითებული უნდა იყოს შემდეგი:

1. მხარეების: მომჩივანისა (და მისი წარმომადგენლის ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოპასუხის მონაცემები;

2. ფაქტების აღწერა;

3. კონვენციის და/ან მისი დამატებითი ოქმის სავარაუდო დარღვევები (დარღვევებისა) და შესაბამისი არგუმენტები;

4. კონვენციის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებთან დაკავშირებული განაცხადი;

5. შიდა საბოლოო გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების მიღების თარიღი და სახეობა) და ორგანო (სასამართლო ან სხვა) რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო;

6 სხვა გადაწყვეტილებები ჩამოთვლილი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (თითოეული მათგანის მიღების თარიღი და სახეობა), ორგანო (სასამართლო ან სხვა) რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო;

7. თუ არსებობს გასაჩივრების ისეთი საშუალებები რომელიც არ არის გამოყენებული უნდა იქნეს ახსნილი რატომ არ იქნა გამოყენებული;

8. რას ჩივის სახელდობრ მომჩივანი და რას მოითხოვს იგი წინასწარ სამართლიანი დაკმაყოფილების სახით;

9. სხვა საერთაშორისო ინსტანციები, სადაც განიხილებოდა ან განიხილება წინამდებარე საქმე;

10. არის თუ არა განსახილველად წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნები მოკვლევის ან მორიგების სხვა საერთაშორისო ინსტანციაში;

11. თანდართული დოკუმენტების სია;

12. აღქმა - შესაბამისად მთელი ჩემი ცოდნისა და რწმენისა, ვადასტურებ, რომ წინამდებარე საჩივრის ფორმით მოწოდებული ყველა ცნობა ნამდვილია;

13. ხელმოწერა (მომჩივანის ან/და მისი წარმომადგენლის), ხელმოწერის ადგილი და თარიღი.

შევსებული განაცხადი უნდა იქნეს გაგზავნილი შემდეგ მისამართზე:

რეგისტრატორი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

ევროპის საბჭო

F-67075 სტრასბურგი Cedex

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;

2. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. 2003 წელი;

3.. Constituting Europe The European Court of Human Rights in a National, European and Global Context. Editors: Andreas Føllesdal, Birgit Peters, Geir Ulfstein. 2013

4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ოფიციალური ვებ გვერდი. <http://www.echr.coe.int/>

5. Wikipedia.